საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №

2021 წლის _____

ქ. თბილისი

„ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კომისია **ადგენს:**

მუხლი 1.
„ადგილობრივი მაუწყებლობის ზონალური დაყოფის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 5 დეკემბრის №10 დადგენილებაში (სსმ 13.12.2006 №167 მუხ. 2271) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. ადგილობრივი მაუწყებლობის ზონად განისაზღვროს საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა.".

2. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონა არის სახმელეთო ტერიტორია, რომელიც შემოსაზღვრულია ამ დადგენილების დანართ №2-ით წარმოდგენილი ციფრული ფორმატის ფაილებით განსაზღვრული კონტურით.".

3. ამოღებული იქნას მე-4 პუნქტი;

4. მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. საეთერო მაუწყებლობის მომსახურების ზონების პირობითი მოხაზულობა და კონტურები დატანილია თანდართულ საქართველოს რუკაზე, რაც ამ დადგენილების განუყოფელი ნაწილია (დანართი №1).".

მუხლი 2.

„ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემულ ლიცენზიებზე და ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად ამ ლიცენზიების მოქმედების ვადის ავტომატურად გაგრძელების შემთხვევებში. ამ დადგენილების ამოქმედებამდე გაცემული ლიცენზიების მოქმედების ვადის ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ავტომატურად გაგრძელება ხდება ამ ლიცენზიებით გათვალისწინებული მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისი მომსახურების ტერიტორიების შესაბამისად."

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.